

შპს „კონდი“				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
მიმდინარე აქტივები, სულ:	893815	989613	545086	
ფულადი სახსრები	310194	432734	203639	3,1
სავაჭრო მოთხოვნები	137370	99040	43380	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	106574	184756	80971	
მარაგები	336442	272562	215437	3,2
სხვა მიმდინარე აქტივები	3235	521	1659	3,3
გრძელვადიანი აქტივები, სულ:				
ძირითადი საშუალებები	5709812	5976048	5970121	3,4
არამატერიალური აქტივები	3337	4154	4971	3,5
სულ აქტივები:	6606964	6969815	6520178	
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები, სულ:	701901	704780	498999	
სავაჭრო ვალდებულებები	496251	577624	391344	
საგადასახადო ვალდებულებები	186941	107811	85964	
მოკლევადიანი სესხები				
სხვა ვალდებულებები	18709	19345	21691	3,6
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	1173663	2627935	3658236	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1173663	2627935	3658236	3,7
სულ კაპიტალი:	4731400	3637100	2362943	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	4731400	3637100	2362943	3,8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6606964	6969815	6520178	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.				
დირექტორი	ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „კონდი“			
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება			
ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2023	2022	
ამონაგები	11186509	9323314	3,9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-6499969	-5884854	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	4686540	3438460	
მიწოდების ხარჯები	-1271896	-1153874	3,10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1131023	-751512	3,11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-2402919	-1905386	
საპროცენტო შემოსავალი	8334	5916	
დადებითი საკურსო სხვაობები	2349	587146	
სხვა შემოსავალი	14088	16812	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	24771	609874	
საპროცენტო ხარჯი	-146233	-194700	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-13802	-17588	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-46009	-44738	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-206043	-257026	
მოგება დაბეგვრამდე:	2102349	1885922	
მოგების გადასახადის ხარჯი	-151207	-91765	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1951142	1794157	3,12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1951142	1794157	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის და	3637100	2362943	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-856842	-520000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4731400	3637100	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.			
დირექტორი	ირაკლი ბოჭორიშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „კონდი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	17510	-151679
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-128598	-188784
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-111088	-340463
სავალუტო კურსის ეფექტი	-11452	569558
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	432734	203639
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	310194	432734

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი

ირაკლი ბოჭორიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კონდი“				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
			ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>893815</i>	<i>989613</i>	<i>545086</i>	
ფულადი სახსრები	310194	432734	203639	3,1
სავაჭრო მოთხოვნები	137370	99040	43380	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	106574	184756	80971	
მარაგები	336442	272562	215437	3,2
სხვა მიმდინარე აქტივები	3235	521	1659	3,3
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>5713149</i>	<i>5980202</i>	<i>5975092</i>	
ძირითადი საშუალებები	5709812	5976048	5970121	3,4
არამატერიალური აქტივები	3337	4154	4971	3,5
სულ აქტივები:	6606964	6969815	6520178	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>მიმდინარე ვალდებულებები, სულ:</i>	<i>701901</i>	<i>704780</i>	<i>498999</i>	
სავაჭრო ვალდებულებები	496251	577624	391344	
საგადასახადო ვალდებულებები	186941	107811	85964	
მოკლევადიანი სესხები				
სხვა ვალდებულებები	18709	19345	21691	3,6
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>1173663</i>	<i>2627935</i>	<i>3658236</i>	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1173663	2627935	3658236	3,7
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>4731400</i>	<i>3637100</i>	<i>2362943</i>	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	4731400	3637100	2362943	3,8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6606964	6969815	6520178	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.				
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „კონდი“			
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება			
ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2023	2022	
ამონაგები	11186509	9323314	3,9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-6499969	-5884854	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	4686540	3438460	
მიწოდების ხარჯები	-1271896	-1153874	3,10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1131023	-751512	3,11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-2402919	-1905386	
საპროცენტო შემოსავალი	8334	5916	
დადებითი საკურსო სხვაობები	2349	587146	
სხვა შემოსავალი	14088	16812	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	24771	609874	
საპროცენტო ხარჯი	-146233	-194700	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-13802	-17588	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-46009	-44738	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-206043	-257026	
მოგება დაბეგრამდე:	2102349	1885922	
მოგების გადასახადის ხარჯი	-151207	-91765	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1951142	1794157	3,12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1951142	1794157	
საკუთარი კაპიტალის საწყისი წაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი	3637100	2362943	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-856842	-520000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4731400	3637100	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.			
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „კონდი“		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	17510	-151679
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-128598	-188784
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-111088	-340463
სავალუტო კურსის ეფექტი	-11452	569558
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	432734	203639
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	310194	432734
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.		
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი	
თანმძლეობი განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კონდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404497914, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12. ფაქტობრივი მისამართი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი 51დ. (ყოფილი: ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია.) კომპანიის საფირმო სახელწოდებაა „საკონდიტრო ბელა“. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 2 სექტემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954) - 50%.

ბექა ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017016820) - 50%.

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2023 წელს შეადგენდა 138 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის

გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის - 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,6894 ლარი;

1 EUR=2,9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,7020 ლარი;

1 EUR=2,8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 (ლარი)		ნაშთი 31.12.2022 (ლარი)		ნაშთი 31.12.2021 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	99225,82		87578,24		133020,58
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	210967,89		345155,50		70618,73
	310 194		432 734		203 639

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 (ლარი)		ნაშთი 31.12.2022 (ლარი)		ნაშთი 31.12.2021 (ლარი)
საქონელი	85903		71645		40471
ნედლეული და მასალები	214029		192868		168171
მზა პროდუქცია	24225				
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	12285		8049		6794
	336442		272562		215437

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 (ლარი)		ნაშთი 31.12.2022 (ლარი)		ნაშთი 31.12.2021 (ლარი)
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	15		0		15
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0		521		955
საპენსიო სააგენტოში წინასწარ გადახდილი თანხები	3 220		0		689
	3 235		521		1 659

3.4. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	(ლარი)	(ლარი)		(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	89950	4329572	16650	169174	33980	673302	5976048
დამატება		92766	0	4326	75260	64709	139787	376847
შემცირება ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი		131736						131736
			190973	5517	57410	17566	239881	511347
ჩამოწერა-გასვლა							0	0
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	50980	4138599	15459	187024	81122	573208	5709812

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4154	4154
დამატება		0
შემცირება ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი	817	817
ჩამოწერა		0
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3337	3337

3.6. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 (ლარი)	ნაშთი 31.12.2022 (ლარი)	ნაშთი 31.12.2021 (ლარი)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	0	0	194
მიღებული ავანსები	0	0	0
ოჯარის მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	18 709	17 488	21 497
საპენსიო სააგენტოს მიმართ ვალდებულება	0	1 857	0
	18 709	19 345	21 691

3.7. გრძელვადიანი სესხები:

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები ევროში სს თიბისი ბანკიდან, რომლის მიზნობრივი დანიშნულება იყო საწარმო და საოფისე შენობის აშენება და კეთილმოწყობა.

ასევე აქვს სესხი ლარში.

ევროებში არსებული სესხების გადაფასება ხდება წლის ბოლოს, შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით ლარში.

	ნაშთი 31.12.2023 (ლარი)	ნაშთი 31.12.2022 (ლარი)	ნაშთი 31.12.2021 (ლარი)
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabamisi kursiT l ar Si)	1029277	2278217	3093105
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabamisi kursiT l ar Si)		165810	346700
გრძელვადიანი სესხი ლარში სს თიბისი ბანკი	144386	183908	218431
	1 173 663	2 627 935	3 658 236

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2022 წელს კომპანიის ამონაგები შედგებოდა წარმოებული საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებიდან და საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლიდან. მიღებულმა შემოსავალმა რეალიზაციიდან შეადგინა 11186509 ლარი.

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

	2023 წ. (ლარი)
გაყიდული საქონლის ხარჯი	411 501
ნედლეულის და მასალების ხარჯი	4 356 023
წარმოებაში დასაქმებულთა ხელფასის ხარჯი	1 093 730
საწარმოო შენობის და დანადგარების იჯარის ხარჯი	50 847
კომუნალური დანახარჯები	205 691
წარმოების ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	343 411
სხვა ხარჯი	38 764
	6 499 969

3.10. მიწოდების ხარჯები

	2023
	(ლარი)
ხელფასები (კონსულტანტები და მძღოლები)	478 429
ავტომობილების საწვავის ხარჯი	76 318
კომუნალური ხარჯი (მაღაზიები)	86 795
მაღაზიების იჯარის ხარჯი	528 566
ძირ. საშუალებების ცვეთა	76 656
ავტომობილების რემონტის ხარჯი	6 320
მიწოდების სხვა ხარჯები	18 813
	1 271 896

3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2023
	(ლარი)
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაცია)	596 681
საიჯარო ქირა	12 600
კომუნალური ხარჯები	2 671
საკანცელარიო ხარჯები	12 623
კომუნიკაციის ხარჯები	13 617
საკონსულტაციო ხარჯები	7 231
ცვეთა/ამორტიზაცია	92 097
საგადასახადო ხარჯები (გადასახადი)	52 354
საბანკო ხარჯები	82 687
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	109 023
სხვა ხარჯები	149 439
	1 131 023

3.12. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება

2022 წელს კომპანიას ქონდა მოგება 1951142 ლარი, განაწილებული წინა წლის მოგების ნაწილი (დივიდენდი) 856842 ლარი, რომლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 151207 ლარი.

3.13. სასამართლო დავები:

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.